ფაკულტეტის დასახელება	**ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში / Bachelor of Business Administration in Management
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	**8 სემესტრი, 240 კრედიტი:** ● თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; ● ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი; ● თავისუფალი კომპონენტი/დამატებითი სპეციალობა (Minor) - 60 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	**თამარ მაღალაშვილი,** ასოცირებული პროფესორი **თამარ ჯინჭველაძე,** ასოცირებული პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამის შემუშავების თარიღი: **2011** პროგრამა განახლდა 2024 წელს. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამა შესაძლებელია განახლდეს ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყების წინ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტები სწრაფად მზარდ და კონკურენტუნარიან ბიზნეს გარემოში მენეჯერული პოზიციებისთვის, რომლებიც:

- აღჭურვილნი იქნებიან ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ცოდნითა და უნარებით;
- დაუფლებულები იქნებიან მეწარმეობის პრინციპებს;
- შეძლებენ განსაზღვრონ ბიზნეს ამოცანების გადაჭრის გზები კრიტიკული და ინოვაციური აზროვნების საფუძველზე.

პროგრამა ქმნის საფუძველს კურსდამთავრებულთა წარმატებული კარიერისთვის ან/და სწავლის გაგრძელებისთვის შემდეგ საფეხურზე. მასში უზრუნველყოფილია სტუდენტების ჩართულობა პრაქტიკულ აქტივობებში, რომლებშიც ისინი შეძლებენ პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწას და ბიზნეს ეთიკის ასპექტების გათავისებას.

ამას გარდა, პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაიფართოვონ ინტელექტუალური თვალსაწიერი და განივითარონ ისეთი ტრანსფერული უნარები, როგორიცაა არგუმენტაციის, რაოდენობრივი მსჯელობის, ქართულ და

ინგლისურ ენებზე კომუნიკაციისა და აკადემიურ მუშაობასთან დაკავშირებული უნარები.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. ავლენს თანამედროვე მენეჯმენტის თეორიებისა და ბიზნესის ძირითადი დისციპლინების შესახებ ზოგად და ფართო ცოდნას;
2. აღწერს და აანალიზებს სხვადასხვა ტიპის და სტრუქტურის ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე მოქმედ მიკრო და მაკრო ცვალებად გარემო ფაქტორებს;
3. შეუძლია შეასრულოს მენეჯერული პოზიციისთვის რელევანტური ფუნქციები, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის სტრატეგიების, ოპერაციებისა და პროექტების მართვაში მონაწილეობას;
4. პრობლემის გადაჭრის მიზნით შეუძლია შესაბამისი მონაცემების მოძიება სხვადასხვა რელევანტური წყაროდან, მათი ანალიზი და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის;
5. ბიზნეს პროცესების ეფექტური მართვისთვის შეუძლია ინოვაციებისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შერჩევა და გამოყენება;
6. ავლენს მეწარმეობისთვის საჭირო საბაზო ცოდნასა და უნარებს, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტულ ბაზარზე ახალი პროდუქტისა და სერვისის შეთავაზებას;
7. ითვალისწინებს პროფესიულ ეთიკურ ნორმებსა და პრინციპებს;
8. შეუძლია კომუნიკაცია ქართულ და უცხო ენაზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, როგორც ვერბალურად, ასევე წერილობით;
9. ახდენს როგორც საკუთარი, ისე სხვების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას და მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

სწავლების მეთოდები

- ინტერაქტიული ლექციები და სემინარები;
- მასტერკლასები;
- შემთხვევის ანალიზი;
- პროექტები;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- თანამშრომლობითი სწავლება;
- პროექტებზე/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- გონებრივი იერიში;
- რეფლექსია;
- როლური და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- მოდელირება;
- პრაქტიკული მუშაობა;
- შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი.

შენიშვნა: *პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში/კონცეფციებში.*

პროგრამის სტრუქტურა

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა - 240 კრედიტი:

- **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;**
- **ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი:**
    - სავალდებულო კურსები - 102 კრედიტი;
    - არჩევითი კურსები - 18 კრედიტი.
- **თავისუფალი კომპონენტები/დამატებითი სპეციალობა - 60 კრედიტი.**

თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში, სტუდენტს შეუძლია სწავლების მესამე სემესტრიდან აირჩიოს დამატებითი სპეციალობა (minor) ან გაიაროს სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამაში შეთავაზებული სასწავლო კომპონენტები 60 კრედიტის მოცულობით.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩაბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: *ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში და კონცეფციაში განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.*

დასაქმების სფეროები

საბაკალავრო პროგრამის: "მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)" კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ კერძო ან საჯარო სექტორის დამწყებ მენეჯერულ საშუალო რგოლის სხვადასხვა მმართველობით პოზიციებზე. ასევე, პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სალექციო აუდიტორიები და კომპიუტერული კლას(ებ)ი;
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი";
- TurnitIn, Elearning;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრი;
- ბიზნესის კვლევების ცენტრი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექ მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი, პრეაქსელატორი Zoom-out, სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორია Fab Lab და Startup Grind.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში: "გრინვეი საქართველო", "საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო", "კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია", "კასტელ ჯორჯია", "თ&კ რესტორნები

(მაკდონალდსი)", "ირაო", "ვიმ ბილ დან საქართველო", "პი ემ სი კვლევითი ცენტრი", "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია", "იმპექსფარმი", "გასტრონომ მენეჯმენტ ჯგუფი", "ჯი ი სი", "ალტა", "ბიბლუსი", "თეგეტა მოტორსი", ჯეპრა", "ექსპო ჯორჯია", "ლომისი".